გაკვეთილის გეგმა
2

მასწავლებლის სახელი, გვარი: ნარგიზ ქათამაძე

პირადი ნომერი:

საგანი: გეოგრაფია

კლასი/საფეხური: VII. საბაზო

მოსწავლეთა რაოდენობა: 3 (სსსმ მოსწავლე არ მყავს)

გაკვეთილის თემა: ბუნებრივი პირობები და რესურსები

გაკვეთილის მიზანი:

- მოსწავლემ შეძლოს იპოვოს განსხვავება ბუნებრივ პირობებსა და ბუნებრივ რესურსებს შორის;
- აღწეროს და გააცნობიეროს ბუნებრივი რესურსების მნიშვნელობა ადამიანისათვის.

გაკვეთილის თემისა და მიზნის შესაბამისობა ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან:

გაკვეთილის მიზანი გამომდინარეობს გეოგრაფიის სტანდარტიდან:

გეო.VII.2 მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა თვალსაჩინოების კითხვა გეოგრაფიული ინფორმაციის მოსაპოვებლად.

გეო.VII.4. მოსწავლეს შეუძლია მსჯელობა ბუნებრივი რესურსების რაციონალურ და მრავალმხვრივ გამოყენებაზე.

გეო.VII.10 მოსწავლეს შეუძლია ახსნას გარემოსდაცვითი ღონისძიებების აუცილებლობა. წარმოდგენილი გეგმა ზუსტად ემთხვევა თემატური გეგმის თარიღს. აქტივობების დაგეგმვისას გავითვალისწინე მოსწავლეთა წინარე ცოდნა და უნარ–ჩვევები.

#
აქტივობის მიზანი და აღწერა
გამოყენებული მეთოდი/მეთოდები
კლასის ორგანიზების ფორმა/ფორმები
სასწავლო რესურსები (დაასაბუთეთ შინაარსობრივი რესურსების მიზანშეწონილობა სასწავლო მიზანთან მიმართებით)
დრო (წთ)

„გამოწვევა".

მიზანი: მოსწავლემ გაიაზროს რას გააკეთებს გაკვეთილის განმავლობაში, განვსაზღვროთ გაკვეთილის მიზანი და გაიგოს როგორ ფასდება იგი.

აქტივობის აღწერა: ვესალმები მოსწავლეებს და ვეკითხები როგორ განწყობაზე არიან. შემდეგ ვაჩვენებ ფოტოებს, რომელზეც ბუნებრივი რესურსები და პირობებია გამოსახული კომპიუტერის საშუალებით და ვთხოვ ამოიცნონ თითოეული მათგანი. ერთად განვსაზღვრავთ გაკვეთილის მიზანს და ვაცნობ შეფასების კრიტერიუმებს.

ფოტოების დახარისხება

მთელი კლასი

ფოტოები. კომპიუტერი. ფლიფჩარტი გაკვეთილის მიზნით და შეფასების რუბრიკებით

5 წთ

საშინაო დავალების შემოწმება

მიზანი: წინა გაკვეთილის შედეგების განსაზღვრა
აქტივობის აღწერა: მოსწავლეებს ვთხოვ წარმოადგინონ საშინაო დავალება და ერთობლივად ვახდენთ

ანალიზს. ვაძლევ განმავითარებელ შეფასებას კომენტარებით.

პრეზენტაცია

ინდივიდუალური

ბავშვების მიერ წარმოდგენილი ნამუშევრები

4წთ

მოსწავლეთა პროვოცირება.

მიზანი: ახალი მასალის გაცნობა
აქტივობის აღწერა: მოსწავლეებს შევახსენებ რა არის ბუნებრივი რესურსი და ბუნებრივი პირობა. ვთხოვ განმარტონ ტერმინების დაფაზე მოცემული უცხო სიტყვები,საჭიროების შემთხვევაში ვერთვები განმარტების პროცესში, შემდეგ ვთხოვ წაიკითხონ სახელმძღვანელოში მოცემული თემა: ,,ბუნებრივი რესურსები და ბუნებრივი პირობები''

მინილექცია
ტექსტის კითხვა

საერთო საკლასო.
ინდივიდუალური

ტერმინების დაფა.
სახელმძღვანელოში მოცემული ტექსტი

8 წთ

სავარჯიშოებზე მუშაობა

მიზანი: ინფორმაციის ტრანსფერი.

აქტივობის აღწერა: მოსწავლეებს ვთხოვ ნანახი ფოტოებისა და ტექსტის საფუძველზე ერთმა მოსწავლემ შეასრულოს სახელმძღვანელოში მოცემული N1, მეორემ –N2, ხოლო მესამე მოსწავლემ N4 დავალება და წარმოადგინონ თხუზულების, T მეთოდისა და ცხრილის სახით.

T მეთოდი;
ცხრილი;
პრეზენტაცია

ინდივიდუალური

კოგნიტური სქემა; ცხრილი; რვეული. კალამი. ტექსტი. ფოტოები.

9 წთ

თამაში „ბრძოლა რესურსებისათვის"

მიზანი: ცოდნის კონსტრუირება

აქტივობის აღწერა: მიღებული ცოდნის განსამტკიცებლად მოსწავლეებს ვთავაზობ თამაშს; ,,ბრძოლა რესურსებისათვის"

ვუხსნი თამაშის წესებს და განვუმარტავ, რომ მათ აქვთ გარკვეული ცივილიზაცია და აკლიათ მთელი რიგი საგნები, რომელიც უნდა მოიპოვონ. თამაში რამდენიმე რაუნდად იყოფა და თითოეული რაუნდის შემდეგ მოვაწყობთ გახილვას, თუ რა მოიტანა თითოეულმა მოსწავლემ და რა აკლია.(სტიკერებს აკრავენ დაფაზე გამოკრულ ფლიფჩარტზე საკუთარი სახელების გასწვრივ)) პარალელურად ვაძლევ განმავითარებელ შეფასებას კომენტარებით. თამაში გრძელდება მანამ, სანამ სასურველ ცივილიზაციას არ შექმნიან და არ მიხვდებიან, რომ აუცილებელია ყიდვა–გაყიდვა, მოპოვება და ა. შ.

თამაში

მთელი კლასი

რგოლი; საათი; 20 მდე, წებოვანი ფერადი ფურცლები წარწერებით(შეშა, წყალი, ადამიანები, განათლება, ქვანახშირი, ნავთობი, მიწა და ა. შ)
ფლიფჩარტი მოსწავლეთა სახელებით

10 წთ

გასასვლელი ბილეთები.

მიზანი: გაკვეთილის შეჯამება

აქტივობის აღწერა: მოსწავლეებს ვურიგებ გასასვლელ ბარათებს, რომელშიც არის კითხვები გაკვეთილის შესაჯამებლად და ვთხოვ უპასუხონ კითხვებს და ბარათები დატოვონ მაგიდაზე, რომლის ანალიზსაც შემდეგ გაკვეთილზე მოვახდენთ

გასასვლელი ბარათები

ინდივიდუალური

გასასვლელი ბარათები; კალამი

4წთ

შეფასება.

მიზანი: უკუკავშირი

ანმავითარებელი შეფასება კომენტარებით. პრეზენტაციის შეფასების რუბრიკა (ერთიერთშეფასებისათვის)

(დანართი1)

უკუკავშირი

მთელიკლასი; ინდივიდუალური

3 წთ

საშინაო დავალება
მიზანი: ინფორმაციის მოპოვება.
მოსწავლეებს ვთხოვ მოიძიონ ინფორმაცია ბუნებრივ რესურსებზე და წარმოადგინონ სასურველი ფორმით.

დემონსტრირება

მთელი კლასი/ინდივიდუალური

2 წთ

გაკვეთილის ბოლოს მისაღწევი შედეგები:

მოსწავლე:

- ფოტოების, ცხრილების, გრაფიკების საშუალებით ახდენს გეოგრაფიული ინფორმაციის დახარისხებას;
- აჯგუფებს (ბარათებისა და ცხრილების გამოყენებით) ბუნებრივ რესურსებსა და ბუნებრივ პირობებს.
- თვალსაჩიოებაზე მოცემული ერთი ტიპის გეოგრაფიულ იფორმაციას გამოხატავს სხვა სახით.
- ასახელებს გეოეკოლოგიური პრობლემების შეიეგებს და გამოთქვამს ვარაუოის, თუ რა

[illegible] მოხდება მათი გადაუჭრელობის შემთხვევაში;

- ჩამოთვლის და შეძლებისდაგვარად ახორციელებს მისი აზრით, ქვეყნისათვის ან თავისი რეგიონისათვის აუცილებელ გარემოსდაცვით ღონისძიებებს.

ხელმოწერა: ნარგიზ ქათამაძე

თარიღი: 06.05.2019

დანართი **1**

პრეზენტაციის შეფასების რუბრიკა(ურთიერთშეფასებისთვის)

კრიტერიუმები

დიახ
არა
ნაწილობრივ
თემასთან შესაბამისობა
სრულად შეესაბამება თემას. სქემა ზუსტად და ამომწურავად არის შევსებული; იყენებს შესაბამის ტერმინოლოგიას;

არგუმენტები

მსჯელობს არგუმენტირებულად, დამაჯერებლად,

რეგლამენტი,

იცავს რეგლამენტს,

საკომუნიკაციო უნარები

ფლობს საკომუნიკაციო უნარებს (ჟესტიკულაცია, ხმის ტემბრი,აუდიტორიის ფლობა)